დანართი №1

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების, პრეტენდენტთა რეგისტრაციის დაწყების, მათი შერჩევის კრიტერიუმებისა და წარსადგენ დოკუმენტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ

1. გამოცხადდეს კონკურსი სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით და დაიწყოს პრეტენდენტთა რეგისტრაცია.

2. პრეტენდენტთა რეგისტრაცია დაიწყოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2018 წლის 16 აპრილის 10:00 საათიდან (მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1, ოთახი №114) და დასრულდეს 2018 წლის 20 აპრილის 18:00 საათზე (5 სამუშაო დღე).

3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად პრეტენდენტების განხილვა აკადემიური საბჭოს მიერ განხორციელდეს 2 ეტაპად:

ა) დოკუმენტაციის გაცნობა - 2018 წლის 23 აპრილიდან არაუგვიანეს 25 აპრილისა;

ბ) პრეტენდენტებთან გასაუბრება - 2018 წლის 26 აპრილიდან არაუგვიანეს 30 აპრილისა.

4. აკადემიური საბჭოს მიერ პრეტენდენტების განხილვისა და კონკურსის საფუძველზე შერჩეული ერთი კანდიდატურის წარმომადგენლობითი საბჭოსათვის წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2018 წლის 7 მაისი.

5. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად პრეტენდენტისათვის შემდეგი კრიტერიუმები:

ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
ბ) აკადემიურ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება;
გ) მართვის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება;
დ) საზღვარგარეთის ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობის გამოცდილება;
ე) „ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG)" 2015 წლის დოკუმენტის ცოდნა, ბოლონიის პროცესის შესახებ ძირითადი დოკუმენტების ცოდნა და განათლების სფეროსთან დაკავშირებული შესაბამისი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

- „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- ავტორიზაცია-აკრედიტაციის პროცესების მარეგულირებელი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები;

ვ) ერთ-ერთი უცხო ენის (სასურველია ინგლისურის) სრულფასოვნად ფლობა;

ზ) სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების ცოდნა;

თ) ასაკი 65 წლამდე.

6. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხა:

ა) განცხადება აკადემიური საბჭოს სახელზე;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის ფოტოსურათიანი გვერდის ასლი;

გ) ავტობიოგრაფია (CV);

დ) 2 ფოტოსურათი, ზომით 3 X 4-ზე;

ე) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ვ) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ზ) აკადემიურ თანამდებობაზე მუშაობისა და მართვის გამოცდილების ქონის დამადასტურებელი დოკუმენტები (ცნობა, შრომის წიგნაკის ასლი და სხვ.);

თ) კვალიფიკაციის ამაღლების (გადამზადების) დამადასტურებელი სერტიფიკატების, დიპლომების და სხვა ასლები;

ი) კონცეფცია და წლების მიხედვით დეტალურად გაწერილი სამოქმედო გეგმა;

კ) ნასამართლობის შესახებ ცნობა;

ლ) სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა.